

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ბეგლარაშვილი

წევრები:

სოფიკო ბოქოლიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ლელა ბუბაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ეთერ ბოკელავაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნათია ქათამაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ნინო ზირაქაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ნადია დაბრუნდაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

მარინე ხუციშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ავთანდილ კეჭყემაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

შორენა კაკაბაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	245429488

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბათუმი
ფაქტობრივი მისამართი	ბათუმი, ხარიტონ ახვლედიანის ქუჩა N19
საფოსტო ინდექსი	6000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებგვერდი	http://www.2school.edu.ge/men/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელფოსტა	Batumi2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577304065

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 12 აგვისტოს MES 3 24 0000964805 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 25-26 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული ენა	ქ.ბათუმი ხარიტონ ახვლედიანის ქუჩა N19 (2 კორპუსი ერთ მისამართზე)
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	ქართული ენა	ქ.ბათუმი ხარიტონ ახვლედიანის ქუჩა N19 (2 კორპუსი ერთ მისამართზე)

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	ქართული ენა	ქ.ბათუმი ხარიტონ ახვლედიანის ქუჩა N19 (2 კორპუსი ერთ მისამართზე)
--	---------	-------------	--

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2024 წლის 25 და 26 სექტემბერს სსიპ - ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში. შეხვედრის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დამატებით იქნა გამოთხოვილი გარკვეული დოკუმენტაცია. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი საგნობრივი მიმართულების მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი და თავმჯდომარე გაესაუბრენ სკოლის დირექტორს, ბუღალტერს და სკოლის სხვა წარმომადგენლებს. ვიზიტს ესწრებოდა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელიც. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლა გამოირჩევა მრავალფეროვანი საწრეო და საკლუბო მუშაობით. მოსწავლეებს საშუალება აქვთ ინტერესების შესაბამისად გაწევრიანდნენ სხვადასხვა კლუბსა თუ წრეში, ჩაერთონ სკოლის ან სხვადასხვა ორგანიზაციის საგანმანათლებლო პროექტებში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 2124	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III.ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა მეტწილ შესაბამისად;
- საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა სრულად შესაბამისად;
- საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა სრულად შესაბამისად;

IV.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	ხარვეზი



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.	სკოლამ უზრუნველყოს დაწყებით საფეხურზე ზოგიერთ კლასში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკისა და სპორტის საათების განაწილებულა კვალიფიციურ კადრებზე შესაბამისობის გეგმის მიხედვით 2025 წლის 16 სექტემბრამდე.
ინდიკატორი 3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სკოლამ უზრუნველყოს მეორე ექიმის დამატება შესაბამისობის გეგმის მიხედვით 2025 წლის 16 სექტემბრამდე.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა	ესთეტიკა და სპორტი სკოლამ უზრუნველყოს დაწყებით საფეხურზე ზოგიერთ კლასში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკისა და სპორტის საათების განაწილებულა

	კვალიფიკაცია შესაბამემა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;	კვალიფიციურ კადრებზე შესაბამისობის გეგმის მიხედვით 2025 წლის 16 სექტემბრამდე.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N 1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სამოქმედო გეგმის აქტივობების ინდიკატორების დონეზე სკოლა განსაზღვროს შედეგების მკაფიოდ გაზომვადი მაჩვენებლები, რათ გამოიკვეთოს ერთსა და იმავე ამოცანაზე მუშაობის პროგრესი წლიდა წლამდე.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა

ინდიკატორი N 3.1.2.2.	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციური და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.	სასურველია, სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში პერსონალის ინტერვენციული მართვის მიზნით გაწეროს კონკრეტული თანამშრომლის არყოფნის შემთხვევაში ვის მიერ მოხდება ფუნქციების შესრულება.
ინდიკატორი 3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.	სასურველია, სკოლამ შინაგანაწესში დააზუსტოს კანონმდებლობის მიხედვით მასწავლებლების გარდა კიდე რომელ პოზიციებზე შესაძლებელია პირს ეხება კონკრეტული წესი.
ინდიკატორი 3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.	სასურველია, სკოლამ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად აიყვანოს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი N....		
ინდიკატორი 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.	სასურველია, სკოლამ ვერიფიკაციის დოკუმენტში დააკონკრეტოს ის საშუალებები/ მექანიზმები/ინსტრუმენტები რითაც ადგენს რამდენად შესაბამისობაშია მათი შეფასების სისტემა და რამდენად იძლევა შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობას.



ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.	სასურველია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, დეტალურად გაიწეროს, თუ როგორ და რა საშუალებებით განხორციელდება კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები (მაგ: ვინ რა პერიოდულობით განახორციელებს მონიტორინგს; რომელი რგოლი/სტრუქტურული ერთეულები განახორციელებენ შეფასებას; რა ინსტრუმენტებს გამოყენებენ შეფასების პროცესში), რათა გაანალიზდეს დაგეგმილი პროცესები იძლევა თუ არა სასურველ შედეგს.
ინდიკატორი 2.3.1.2	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;	სასურველია, დაზუსტდეს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონიტორინგის ძირითადი მიმართულებები.
ინდიკატორი 2.3.2.4	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით	სასურველია, სკოლამ სასწავლო პროცესის შეფასებისას გაითვალისწინოს მასწავლებლის სწავლების სტილის და მეთოდების შეფასება. ასევე, სასწავლო მასალების, რესურსებისა და გარემოს შეფასება.



ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	სახელმწიფო ენა I-VI კლასებში, სასურველია: • მე-3 კლასების კურიკულუმებში მიუთითონ, რომელი სახელმძღვანელოთი ასწავლიან; • დავალების იდეა მე-3 კლასში დაწერონ იმგვარად, რომ გასაგები იყოს მკითხველისთვის და არა ე.წ. საკვანძო კითხვების სახით, მით უფრო რომ ეს კითხვები თემატურ გეგმაში თავის ადგილას წერია. გრაფის სახელწოდებას - დავალების იდეა - ვერაფრით ვერ გულისხმობს საკვანძო კითხვას; • მე-3 კლასის კურიკულუმიდან ამოიღონ ფრაზა-საკითხთა კლასტერი, რამდენადაც ქართულის სპეციფიკა არ ითხოვს ამგვარ რუბრიკას; V-VI კლასებში, სასურველია: • საკითხებში რამდენიმე დავალებაა ჩამოთვლილი, დავალების იდეის გრაფაში მხოლოდ ერთი წერია. სასურველია, იდეების გრაფაში გაიწეროს დანარჩენებიც. • საკითხებში ზოგან დავალების პირობაა ჩამოყალიბებული, დავალების იდეის გრაფა კი ცარიელია. სასურველია, შეივსოს სრულად. • აქტივობათა გრაფაში ჩაწერონ ისეთი აქტივობები, რომლებიც ორიგინალურია, მიმართულია ცნების უკეთ გასააზრებლად.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სახელმწიფო ენა კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნოს მე-3 თაობის ესგ-ს ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა.

ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	მათემატიკა მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმის ფორმაში მოცემულია სვეტები „აქტივობები/მეთოდები“ და „შეფასების ტიპები და რუბრიკები“, კურიკულუმის ფორმატის გამო მასში ასეთი ტიპის ინფორმაციის სრულყოფილად შეტანა შეუძლებელია და ამის გამო სვეტებში შეტანილი ინფორმაცია სარგებლის მომტანი ნაკლებადაა. სასურველია, აქტივობები, მეთოდები და შეფასების სტრატეგიები თემის გეგმებში უნდა გაიწეროს და თემატური დაგეგმვის მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენდეს, საგნობრივ კურიკულუმებში კი გამსაზღვრელი იყოს ძირითადი საითხები: გრძელვადიანი და შუალედური სასწავლო მიზნები, სასწავლო თემები, საგნობრივი საკითხები, რესურსები. სასურველია დაწყებით კათედრაზე სკოლა სარგებლობდეს ერთგვაროვანი, შეთანხმებული კურიკულუმის ჩარჩოთი.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს,	მათემატიკა • სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში სასწავლო თემების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნას ესგ-ის დოკუმენტით განსაზღვრული თემების ჩამონათვალი. მესამე კლასის კურიკულუმში ყველა თემის ფარგლებში დაზუსტდეს გრძელვადიანი მიზნები. • სასურველია, ყველა სასწავლო თემა შეფასდეს შემოქმედებითი ტიპის დავალებებით და კარგად იქნას აღწერილი შემოქმედებითი დავალების იდეა, რომელიც კათედრას კონკრეტულ თემაზე შუალედურ მიზნად აქვს დასხული.

ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას.	მათემატიკა მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშაოს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი და კათედრამ დამხმარე რესურსების ვალიდაცია ამ წესით განსაზღვრული პროცედურებით განახორციელოს.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ესთეტიკური აღზრდა სასურველია დაიხვეწოს დაწყებითი კლასების განმავითარებელი /განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (I-VI კლასები) სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მოერგოს კურიკულუმში გაწერილ თემებს.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	სასურველია, ფიზიკის მე-7, მე-8, მე-9 კლასის კურიკულუმში ყველა თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება და გასწორდეს ტექნიკური შეცდომა - კურიკულუმის თავსართში მითითებული სახელმძღვანელო არ ემთხვევა კურიკულუმის აღწერით ნაწილში მითითებულ სახელმძღვანელოს; სასურველია, ბიოლოგიის მე-8 კლასის კურიკულუმში ყველა თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება და დაზუსტდეს ქვეცნებები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. სასურველია, ბიოლოგიის მე-9 კლასის კურიკულუმში დაკონკრეტდეს რესურსები.
ინდიკატორი 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სასურველია კურიკულუმებში ყველგან მიეთითოს ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი.

ინდიკატორი 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.	სასურველია, სკოლამ ვერიფიკაციის დოკუმენტში დააკონკრეტოს ის საშუალებები/ მექანიზმები/ინსტრუმენტები რითაც ადგენს რამდენად შესაბამისობაშია მათი შეფასების სისტემა და რამდენად იძლევა შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობას.
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	სასურველია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, დეტალურად გაიწეროს, თუ როგორ და რა საშუალებებით განხორციელდება კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები (მაგ: ვინ რა პერიოდულობით განახორციელებს მონიტორინგს; რომელი რგოლი/სტრუქტურული ერთეულები განახორციელებენ შეფასებას; რა ინსტრუმენტებს გამოყენებენ შეფასების პროცესში), რათა გაანალიზდეს დაგეგმილი პროცესები იძლევა თუ არა სასურველ შედეგს.
ინდიკატორი 2.3.1.2	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;	სასურველია, დაზუსტდეს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონიტორინგის ძირითადი მიმართულებები, თანმდევი პროცედურების გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.3.2.4	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით	სასურველია, სკოლამ სასწავლო პროცესის შეფასებისას გაითვალისწინოს მასწავლებლის სწავლების სტილის და მეთოდების შეფასება. ასევე, სასწავლო მასალების, რესურსებისა და გარემოს შეფასება.

ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	სახელმწიფო ენა • სასურველია, მოწესრიგდეს სამიზნე ცნებების გრაფა მოსაწესრიგებელია (ზოგან ქვეცნებები წერია, ზოგან-ქვესაკითხები, ზოგან საერთოდაც აქტივობათა დასახელება, მაგ: სიუჟეტი, ბალადა. სიტყვის ამოცნობა კონტექსტის მიხედვით. პერსონაჟის დახასიათება. (თემა-მე-3); • სასურველია, გამოიყოს თემატური ერთეული და სწორად/გამოკვეთილად დაერქვას სახელი, მაგ: ცოდნა ანთებულ სანთელს ჰგავს, თემა არაა, თემა იქნება ცოდნის ძალა, ან ცოდნის მნიშვნელობა (მე-7 კლ); ზოგან საკითხები წერია, დავალებების გრაფა ცარიელია.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სახელმწიფო ენა სასურველია, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესე ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა.

ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	მათემატიკა მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმის ფორმაში მოცემულია სვეტები „აქტივობები/მეთოდები“ და „შეფასების ტიპები და რუბრიკები“, კურიკულუმის ფორმატის გამო მასში ასეთი ტიპის ინფორმაციის სრულყოფილად შეტანა შეუძლებელია და ამის გამო სვეტებში შეტანილი ინფორმაცია სარგებლის მომტანი ნაკლებადაა. სასურველია, აქტივობები, მეთოდები და შეფასების სტრატეგიები თემის გეგმებში უნდა გაიწეროს და თემატური დაგეგმვის მნიშვნელვან კომპონენტს შეადგენდეს, საგნობრივ კურიკულუმებში კი გამსაზღვრელი იყოს ძირითადი საითხები: გრძელვადიანი და შუალედური სასწავლო მიზნები, სასწავლო თემები, საგნობრივი საკითხები, რესურსები. სასურველია, კათედრაზე სკოლა სარგებლობდეს ერთგვაროვანი, შეთანხმებული კურიკულუმის ჩარჩოთი.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს,	მათემატიკა სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში სასწავლო თემების შეტანისას გათვალისწინებულ იქნას ესგ-ის დოკუმენტით განსაზღვრული თემების ჩამონათვალი (მაგალითად, მეცხრე კლასის კურიკულუმში თემების დასახელებები მოყვანილ იქნას შესაბამისობაში მათემატიკის სტანდარტთან). ამასთან, ყველა სასწავლო თემა შეფასდეს შემოქმედებითი ტიპის დავალებებით. მნიშვნელოვანია, კარგად იქნას აღწერილი შემოქმედებითი დავალების იდეა, რომელიც კათედრას კონკრეტულ თემაზე შუალედურ მიზნად აქვს დასხული.

ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას.	მათემატიკა მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშაოს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი და კათედრამ დამხმარე რესურსების ვალიდაცია ამ წესით განსაზღვრული პროცედურებით განახორციელოს.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ესთეტიკური აღზრდა სასურველია დაიხვეწოს საბაზო საფეხურის განმავითარებელი /განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, რათა მოერგოს კურიკულუმში გაწერილ თემებს.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ფიზიკური აღზრდა და სპორტი სასურველია, შეფასების რუბრიკა კონკრეტულად იყოს გაწერილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მოცემულ სამიზნე ცნებებსა, ქვეცნებებსა და დაგეგმილი კომპლექსური დავალებასთან დაკავშირებით.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
--------------	--	-------

ინდიკატორი 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.	სასურველია, სკოლამ ვერიფიკაციის დოკუმენტში დააკონკრეტოს ის საშუალებები/ მექანიზმები/ინსტრუმენტები რითაც ადგენს რამდენად შესაბამისობაშია მათი შეფასების სისტემა და რამდენად იძლევა შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობას.
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	სასურველია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, დეტალურად გაიწეროს, თუ როგორ და რა საშუალებებით განხორციელდება კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები (მაგ: ვინ რა პერიოდულობით განახორციელებს მონიტორინგს; რომელი რგოლი/სტრუქტურული ერთეულები განახორციელებენ შეფასებას; რა ინსტრუმენტებს გამოყენებენ შეფასების პროცესში), რათა გაანალიზდეს დაგეგმილი პროცესები იძლევა თუ არა სასურველ შედეგს.
ინდიკატორი 2.3.1.2	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;	სასურველია, დაზუსტდეს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონიტორინგის ძირითადი მიმართულებები, თანმდევი პროცედურების გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.3.2.4	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით	სასურველია, სკოლამ სასწავლო პროცესის შეფასებისას გაითვალისწინოს მასწავლებლის სწავლების სტილის და მეთოდების შეფასება. ასევე, სასწავლო მასალების, რესურსებისა და გარემოს შეფასება.

ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	სახელმწიფო ენა დავლების იდეის გრაფაში შეფასების კრიტერიუმების ჩაწერა („ნამუშევარში წარმოაჩინეთ“) სავალდებულო არ არის.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სახელმწიფო ენა სასურველია, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავლების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	მათემატიკა მე-11 კლასის კურიკულუმის ფორმაში მოცემულია სვეტები „აქტივობები/მეთოდები“ და „შეფასების ტიპები და რუბრიკები“, კურიკულუმის ფორმატის გამო მასში ასეთი ტიპის ინფორმაციის სრულყოფილად შეტანა შეუძლებელია და ამის გამო სვეტებში შეტანილი ინფორმაცია სარგებლის მომტანი ნაკლებადაა. სასურველია, აქტივობები, მეთოდები და შეფასების სტრატეგიები თემის გეგმებში უნდა გაიწეროს და თემატური დაგეგმვის მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენდეს, საგნობრივ კურიკულუმებში კი გამსაზღვრელი იყოს ძირითადი საითხები: გრძელვადიანი და შუალედური სასწავლო მიზნები, სასწავლო თემები, საგნობრივი საკითხები, რესურსები. სასურველია. კათედრაზე სკოლა სარგებლობდეს ერთგვაროვანი, შეთანხმებული კურიკულუმის ჩარჩოთი.

ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს,	მათემატიკა სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში სასწავლო თემების შეტანისას გათვალისწინებულ იქნას ესგ-ის დოკუმენტით განსაზღვრული თემების ჩამონათვალი. ამასთან, ყველა სასწავლო თემა შეფასდეს შემოქმედებითი ტიპის დავალებებით. მნიშვნელოვანია, კარგად იქნას აღწერილი შემოქმედებითი დავალების იდეა, რომელიც კათედრას კონკრეტულ თემაზე შუალედურ მიზნად აქვს დასახული.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში.	მათემატიკა კურიკულუმებში მიეთითოს სასწავლო პროცესში თემის შესწავლისას გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი და ელექტრონული რესურსების ლინკები.
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას.	მათემატიკა მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშაოს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი და კათედრამ დამხმარე რესურსების ვალიდაცია ამ წესით განსაზღვრული პროცედურებით განახორციელოს.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ფიზიკური აღზრდა და სპორტი სასურველია, შეფასების რუბრიკა კონკრეტულად იყოს გაწერილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მოცემულ სამიზნე ცნებებსა, ქვეცნებებსა და დაგეგმილი კომპლექსური დავალებასთან დაკავშირებით.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების თაობაზე.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ სკოლამ დადგენილ ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, კერძოდ, კონკრეტული ვადების (არაუმეტეს 1 წლისა) მითითებით გაწერა პროცესების უზრუნველყოფის გეგმა შემდეგ საკითხებზე:

- დაწყებით საფეხურზე ზოგიერთ კლასში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკისა და სპორტის საათების განაწილება კვალიფიციურ კადრზე.
- მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით მეორე ექიმის დამატება.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ სკოლამ უზრუნველყო და წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებებიც შემდეგ საკითხებზე:

- სტრატეგიული გეგმის მიზნების შესაბამისად ამოცანების გაწერა;
- სამოქმედო გეგმის სტრატეგიულ გეგმასთან თანხვედრაში მოყვანა;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შექმნილი აქვს სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დირექტორის მოადგილეები, მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. აღნიშნული ჯგუფის მიერ შემუშავდა და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცდა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლის მისიაა: უზრუნველყოს უსაფრთხო გარემოში, წიგნიერი, სამართლიანი, კომუნიკაბელური, ტოლერანტული თვისებებისა და ზნეობრივად განვითარებული პიროვნების აღზრდა, მოსწავლის პიროვნული და აკადემიური განვითარების მაქსიმალური მხარდაჭერა და განვითარება. სსიპ ქალაქ ბათუმის №2 საჯარო სკოლის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, ყველა მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო რესურსების შექმნა და გამოყენება და სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის. ამიტომ, მზად არიან შექმნან თითოეულ საგანში სხვადასხვა საჭიროების მოსწავლეზე მორგებული სასწავლო რესურსები, ამ რესურსების გამოყენების, გარდაქმნის გზამკვლევები და გამოიყენონ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის პიროვნული და აკადემიური განვითარების მაქსიმალურ მხარდაჭერას და განვითარებას. სკოლის ხედვაა: 2031 წლისთვის, იყოს პირველი სკოლა რეგიონში, რომელსაც ექნება სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული საავტორო რესურსები, რასაც გააზიარებს ეროვნულ დონეზე.

წარმოდგენილ მისიასა და ხედვაში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირება და შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რადგან მასში აქცენტირებულია მოსწავლის როგორც აკადემიური, ასევე პიროვნული განვითარების საკითხი. აღნიშნულის მიღწევის გზად სკოლა მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული რესურსების შექმნას მოიაზრებს. ინდიკატორი 1.1.1.1 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა ფილოსოფიის შემუშავებისას დაეყრდნო სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის საფუძველზე შექმნილ SWOT ანალიზს, რომლითაც ჩანს, რომ სკოლამ შეისწავლა საკუთარი სასკოლო საზოგადოების ძლიერი და სუსტი მხარეები,

გამოწვევები და შესაძლებლობები. გასაუმჯობესებელ მიმართულებებზე დაყრდნობით სკოლის მისია აქცენტს აკეთებს თითოეული მოსწავლის საჭიროებაზე, რადგან SWOT ანალიზში გასაუმჯობესებელ მიმართულებად გამოკვეთა მათი ჩართულობის გაზრდა. მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისი რესურსებით შექმნით კი შესაძლებელია აღნიშნულის უზრუნველყოფა. შესაბამისად, მისიაშიც და ხედვაშიც იკვეთება სკოლის როლი სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციოკულტურული სივრცის შექმნაში. ინდიკატორი 1.1.1.2 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ფილოსოფია შემუშავდა სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფის მიერ, რომელიც დაკომპლექტებული იყო როგორც დირექციის, ისე მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების წარმომადგენლობით. ჯგუფი მუშაობის პროცესში დაეყრდნო სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგებს. შემუშავებული დოკუმენტის პროექტის განხილვა და დამტკიცება მოხდა სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლის მიერ დამტკიცებული ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაც ხაზს უსვამს სკოლის ფილოსოფიის ჩამოყალიბების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. მეთოდოლოგიაში სრულადაა აღწერილი ის გზა, რომელიც სკოლამ უნდა გაიაროს ფილოსოფიის შექმნისათვის და ყველა ეტაპზე ითვალისწინებს თანამონაწილეობის საკითხს. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებითა და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ სკოლამ მისიისა და ხედვის შემუშავებისას უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. ინდიკატორი 1.1.1.3 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგია დეტალურად აღწერს სკოლის ფილოსოფიის გაზიარების მექანიზმებს. კერძოდ, სკოლის ვებ-გვერდით, ელექტრონული ფოსტით, სოციალური ქსელით, საჯარო განხილვით, სკოლის სტენდით/საინფორმაციო დაფით. სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილმა

სამუშაო ჯგუფმა დაგეგმა და განახორციელა დამტკიცებული სკოლის ფილოსოფიის პრეზენტაცია სასკოლო საზოგადოების წინაშე. როგორც ფილოსოფიის შექმნის, ისე პრეზენტაციის პროცესში, გამოყენებული იყო გარდა აზრის კვლევის სხვადასხვა, ზემოთ ჩამოთვლილი გზებისა (პირისპირ ინტერვიუ, ანკეტირება, FORMS კითხვარი, ფოკუს ჯგუფი) ისე შექმნილი და დამტკიცებული საბოლოო პროდუქტის გამოქვეყნება გაზიარების სხვადასხვა სივრცე და გზა მაგალითად: დამზადდა გრაფიკულ ფორმატში და გამოქვეყნდა სკოლის ვებ და სოციალურ გვერდებზე, მოხდა შესაბამისი ბანერის დამზადება და განთავსება სკოლის შიდა სივრცეში, ასევე დაიბეჭდა და განთავსდა თითოეულ კლასში, გაზიარდა ონლაინ პლატფორმების Teams -ის და messenger – ის გზით მოსწავლეთა მშობლებთან. ინდიკატორი 1.1.1.4 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ ხელმისაწვდომია. კერძოდ, სკოლას აღნიშნული განთავსებული აქვს ვებგვერდსა (<https://shorturl.at/HZse5>) და სოციალურ გვერდზე (www.2school.edu.ge) აგრეთვე, ბანერი (გრაფიკულ ფორმატში) სკოლის ორივე კორპუსის დერეფანში და თითოეულ საკლასო ოთახში.
ინდიკატორი 1.1.1.5 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის დასახელება და სტატუსი განსაზღვრულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. ინდიკატორი 1.1.1.6 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N01-03/240; სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N2;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2;
- სსიპ ქ.ბათუმის N2 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1
- სკოლის ვებგვერდი;
- სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის დებულება;
- სკოლის ფილოსოფიის გაზიარების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

შეფასება: გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. კერძოდ, სკოლა სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში სკოლა უზრუნველყოფს დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის, მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში და შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას. სკოლამ სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპზე უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების წევრთა გამოკითხვა და მათი ხედვების, ინტერესების გათვალისწინება სტრატეგიული გეგმის შექმნისას. ინდიკატორი 1.2.1.1- ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების 7 - წლიანი დამტკიცებული გეგმა. სკოლის მიერ შერჩეული სტრატეგიული მიზნები ეფუძნება სამუშაო ჯგუფის მიერ გაკეთებულ SWOT ანალიზსა და სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგებს. სკოლამ განსაზღვრა შემდეგი სტრატეგიული მიზნები: სკოლის ფილოსოფიის განხორციელება; სკოლის კურიკულუმის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის, შეფასების, გადასინჯვის და რევიზიის უწყვეტი პროცესის მხარდაჭერა; სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ - ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა; მოსწავლეთა მხარდაჭერა. სტრატეგიული ამოცანები იკითხება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტში, თუმცა მასში არ იყო გადმოტანილი სტრატეგიული გეგმიდან ყველა მიზანი და გარკვეულწილად შეცვლილი იყო ფორმულირებები, დამატებული იყო ახალი მიზნებიც. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, სკოლამ უზრუნველყო აღნიშნულის გასწორება და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა დოკუმენტებში. ინდიკატორი 1.2.1.2 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
3. სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გარკვეულწილად იკითხებოდა სტრატეგიული გეგმის ზოგიერთი მიზანი, თუმცა შეცვლილი იყო ფორმულირებები და მათი რაოდენობა. ამ დოკუმენტში შეტანილი იყო რელევანტური მიზნები და ამოცანები, თუმცა გარკვეულწილად თანხვედრაში იყო მოსაყვანი სამოქმედო გეგმა სამოქმედო გეგმასთან. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, სკოლამ უზრუნველყო აღნიშნულის გასწორება და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა დოკუმენტებში. ინდიკატორი 1.2.1.3 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
4. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტანდარტით მოთხოვნილი ყველა კომპონენტი. სკოლის მიერ სამოქმედო გეგმაში შეტანილ სტრატეგიულ მიზნებს აქვს რელევანტური ამოცანები და აქტივობები შერჩეული. ვინაიდან სტრატეგიულ გეგმაში არ ჩანს ყველა მიზნის ყველა ამოცანა, ამიტომ სამოქმედო გეგმის საფუძველზე იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სკოლას ყველა მიზნის ყველა ამოცანა აქვს შეტანილი პირველივე წლის გეგმაში. მიზნების

მიღწევის რეალისტურობისთვის, სასურველია სტრატეგიულ გეგმაში შეტანილ იქნეს დეტალურად ყველა ამოცანა და მათზე მუშაობის კალენდარი, რათა მკაფიოდ გამოჩნდეს, რომელ ამოცანაზე, რომელ წელიწადს გეგმავს სკოლა მუშაობას. ხოლო თუ ყველა ამოცანაზე იგეგმება მუშაობა, მაშინ სამოქმედო გეგმის აქტივობების ინდიკატორების დონეზე სკოლამ განსაზღვროს შედეგების მკაფიოდ გაზომვადი მაჩვენებლები, რათა გამოიკვეთოს ერთსა და იმავე ამოცანაზე მუშაობის პროგრესი წლიდან წლამდე. ინდიკატორი 1.2.1.4 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია; • კითხვარი;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შვიდწლიანი განვითარების გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში გაწერილია, თუ როგორ გეგმავს სკოლა სტრატეგიის შესრულების მონიტორინგს. დოკუმენტის თანახმად, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში მომზადდება ყოველ სამ წელიწადში და სტრატეგიული გეგმის მეშვიდე წლის ბოლოს, ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად, სამოქმედო გეგმის აქტივობებზე პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. მონიტორინგის შედეგად განხორციელებულ აქტივობებს მიენიჭება ერთ-ერთი სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეივსება მონიტორინგის ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების / ამოცანის / აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე გაკეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“ ან „არ შესრულდა“. ინდიკატორი 1.2.2.1 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. ვინაიდან სკოლის მეთოდოლოგიაში დეტალურადაა გაწერილი მონიტორინგის მექანიზმი და სასკოლო საზოგადოების, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მიღების გზები, შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა აღნიშნულის შესაბამისად განახორციელოს მონიტორინგის პროცესი. ინდიკატორი 1.2.2.2 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
3. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიაზრებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის განვითარების განხორციელების შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმებს. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა გეგმავს სტრატეგიული გეგმისა და წლიური სამოქმედო გეგმის ანგარიშის სასკოლო

საზოგადოებისთვის გაცნობას შემდეგი გაზიარების არხებით: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა ან/და სოციალური ქსელი ან/და საჯარო განხილვა. ინდიკატორი 1.2.2.3 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიაზრებს,, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სტრატეგიული გეგმების შესრულების შედეგებს სკოლა გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის, კერძოდ, ანგარიშების სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების შემდგომ, შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, სკოლამ შესაძლოა განახორციელოს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სტრატეგიული გეგმის ცვლილება. ინდიკატორი 1.2.2.4 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგია;
- დირექტორის ანგარიში;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საიტზე ატვირთულია ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა, რომელშიც წარმოდგენილია სკოლაში არსებული პოზიციები და კოლეგიალური ორგანოები. სკოლას დამტკიცებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები. შრომით ხელშეკრულებებში ასევე იკითხება ყველა თანამშრომლის ვალდებულებები. ინდიკატორი 3.1.1.1 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. სკოლის მიერ დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში მკაფიოდ ჩანს ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება. პერსონალთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ სკოლის სტრუქტურის თითოეულმა წევრმა და დასაქმებულმა პირმა იცის საკუთარი მოვალეობები და აცნობიერებს საკუთარი საქმიანობის როლს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში. თანამშრომელთა გაწერილი ფუნქციები ნამდვილად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებას. აღნიშნული დასტურდება კოლეგიალური ორგანოების შეხვედრებზე განხილული საკითხებითაც. ინდიკატორი 3.1.1.2 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- დასაქმებულთა ხელშეკრულებები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობასა და სკოლის მიერ შემუშავებულ წესებს. თანამშრომელთა დასაქმების პროცედურები სკოლის მიერ განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად. პერსონალის მართვასთან დაკავშირებით სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტები თანხვედრაშია საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ინდიკატორი 3.1.2.1. - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი კადრების მოზიდვა/შერჩევის პროცედურები. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა შეცვლა/გაცდენის უწყისიც, რომლითაც დასტურდება მასწავლებელთა კორპუსის ინტერვენციული მართვა. პერსონალის მართვის პრევენციული მიზნებისთვის აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სკოლის პერსონალის შერჩევის გეგმარების პროცესი. აღნიშნულის წინაპირობად მოაზრებულია ორგანიზაციაში არსებული საკადრო დეფიციტი, ახალი პერსონალის დაქირავების აუცილებლობა და თანამშრომლის შეფასების შედეგები. სკოლა განსაზღვრავს სტაჟირების პროცედურებსაც. სასურველია, სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში პერსონალის ინტერვენციული მართვის მიზნით გაწეროს კონკრეტული თანამშრომლის არყოფნის შემთხვევაში ვის მიერ მოხდება მისი ფუნქციების შესრულება. ინდიკატორი 3.1.2.2 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
3. სკოლას დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და შინაგანაწესი, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი კადრების მოზიდვა/შერჩევის პროცედურები. აღნიშნული პროცედურები შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. მასწავლებლები შერჩეულნი არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესისა” და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად. პედაგოგთა შერჩევა ხდება შიდა ან/და ღია კონკურსის საფუძველზე. დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკურსის ვადები, ეტაპები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. საკონკურსო კომისია კანდიდატს არჩევს და აფასებს მის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, ასევე წინასწარ გაწერილი შეფასების კრიტერიუმებით. კონკურსი ცხადდება დასაქმების ვებგვერდზე www.teacherjobs.ge. საკონკურსო კომისია დაკომპლექტებულია სხვადასხვა ორგანიზაციიდან მოწვეული პირებით, რაც უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მიღებისას დირექტორის ბრძანებით დგინდება კონკურსის ვადები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგანაწესის

თანახმად, თანამშრომლის მიღება (გარდა მასწავლებლისა) ხდება დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით ან დირექტორის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება ასევე შესაძლებელია კონკურსის საფუძველზეც. პროცესების შესწავლით დასტურდება, რომ სკოლამ ისეთი თანამშრომლები, როგორებიც არიან სპეციალური მასწავლებელი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები და ექიმი, დაასაქმა კონკურსის გზით, როგორც ამას კანონმდებლობა ითხოვს, შინაგანაწესში არსებული ჩანაწერი გასასწორებელია და საჭიროა, დაზუსტდეს, რომელ თანამშრომლებს ეხება აუცილებლად კონკურსის გზით აყვანა და რომელს არა. ინდიკატორი 3.1.2.3 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის პირადი საქმის გადამოწმებით დასტურდება, რომ თანამშრომელთა კვალიფიკაცია ძირითად შემთხვევაში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა დაწყებით საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, სპორტისა და მუსიკის საათებიგანაწილებული იყო იმ პედაგოგებზე, რომლებსაც დადასტურებული აქვთ დაწყებითი კლასების კომბინირებული საგნების სწავლების კომპეტენცია. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ სკოლამ გამოაცხადა ვაკანსიები აღნიშნულ საათებზე, კვალიფიციური კადრების შერჩევის მიზნით, შესაბამისად სკოლა შესაბამისობის გეგმის მიხედვით გეგმავს აღნიშნულის გასწორებას 2025 წლის 16 სექტემბრამდე. ინდიკატორი 3.1.2.4 - ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციის კულტურა ეფუძნება გუნდური, თანამშრომლობითი, მუშაობის პრინციპებს. პერსონალი მუდმივად მზად არის თანამშრომლობისა და განვითარებისთვის. ჩანს სასკოლო საზოგადოების წევრთა მონაწილეობა პერსონალის შერჩევისა და პროფესიული განვითარების პროცესში. გადაწყვეტილების მიღების პროცესში დირექტორი აქტიურად რთავს სასკოლო საზოგადოების წევრებს და პროცესები შეთანხმებულად იმართება. ინდიკატორი 3.1.2.5 ის მოთხოვნა

დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისთვის თანამშრომელთა წახალისების შემდეგი ფორმები: მაღლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ წარმატებული გამოცდილების გაზირებისა და აღიარების მიზნით სკოლაში აქტიურად ტარდება სამუშაო შეხვედრები. ინდიკატორი 3.1.2.6 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- საკონკურსო დოკუმენტაცია(ბრძანებები/ოქმები);
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი;
- სკოლის ვებგვერდი;
- ბრძანება (მასწავლებლის წახალისების შესახებ).

შეფასება: ◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ◦

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის

აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ დამტკიცებული პერსონალური მართვის დოკუმენტით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. კერძოდ: ტრენინგები, საკონსულტაციო შეხვედრები, საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში მონაწილეობა. კათედრების საქმიანობით დასტურდება გამოცდილების გაზიარება პროფესიული განვითარების მიზნით. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი, რომელიც სპეციალურად განსაზღვრული დაკვირვების რუბრიკით აფასებს მასწავლებელთა გაკვეთილებს. მასწავლებელთა გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები ერთმანეთს ხშირად

უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და ზრუნავენ ერთმანეთის პროფესიულ განვითარებაზე. ინდიკატორი 3.2.1.1- ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. მასწავლებლების შემთხვევაში, კოლეგების ურთიერთდასწრების შედეგად მიღებული უკუკავშირისა და თვითშეფასების საფუძველზე პედაგოგები გეგმავენ თავიანთ პროფესიულ განვითარებას. სკოლა აორგანიზებს გამოცდილების გაზიარების მიზნით სამუშაო შეხვედრებს, საჭიროებათა შესაბამისად, თანამშრომლები რეგისტრირდებიან შესაბამის ტრენინგებზე, ერთვებიან აქტიურად ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში. ინდიკატორი 3.2.1.2 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლა ინტენსიურად აწვდის სკოლის თანამშრომლებს ინფორმაციას განათლების სისტემაში გაცხადებულ პროფესიული განვითარების ღონისძიებების შესახებ. ბევრმა მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი კარიერული წინსვლის სქემით. მიმდინარე წელს ერთ-ერთი პედაგოგი სკოლამ წარადგინა სამინისტროს მიერ ორგანიზებული საუკეთესო მასწავლებლების კონკურსში. აღნიშნული პედაგოგი ამ კონკურსის გამარჯვებულია. ინდიკატორი 3.2.1.3-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
4. სკოლას ბრძანებით დამტკიცებულ ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილი აქვს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესი. სკოლა ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას: პასუხისმგებელი პირი მას აცნობს სკოლის ორგანიზაციულ კულტურას, სკოლის მიზნებს, ღირებულებებს, სტრატეგიას, შინაგანაწესსა და სკოლის სხვა რეგულაციებს. განუმარტავს თანამდებობრივ ინსტრუქციებს, უხსნის, რას გულისხმობს კონკრეტული სამუშაო. ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება ახალშერჩეულ პედაგოგთან, რომელმაც დაადასტურა, რომ სკოლამ უზრუნველყო მისი ადაპტირების პროცესი ეფექტიანად. ინდიკატორი 3.2.1.4 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის დირექცია მუდმივად აწვდის ინფორმაციას სკოლის თანამშრომლებს სიახლეებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მასწავლებლების ინიციატივები ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერილია და ხელს უწყობენ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებაში. მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტში და აძლიერებენ სკოლის არაფორმალურ განათლებას. ერთ-ერთი მასწავლებლის ინიციატივით სკოლაში შეიქმნა ბავშვთა ომბუდსმენის ინსტიტუტი. ინდიკატორი 3.2.1.5 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმები;
- მემორანდუმი ჰილტონთან;
- სკოლის ვებგვერდი;
- ბრძანება (დასაქმებულის წახალისების შესახებ).

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სკოლას დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის წინასწარ დაგეგმვას, განხორციელებას, განხორციელებული აქტივობების მონიტორინგს, შეფასებასა და პროცესების განვითარებას. წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომ გაუმჯობესების საკითხებს. აღნიშნულზე პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულნი არიან დირექტორის მოადგილეები. დამატებით სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი, რომლის საქმიანობაც

დაკავშირებულია მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების გამოკვეთასა და შესაბამისი განვითარების პროცესის უზრუნველყოფასთან. ინდიკატორი 3.3.1.1- ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას გააზრებული აქვს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. აღნიშნული საკითხი გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. სკოლა მმართველობით პროცესებად მოიაზრებს სტრატეგიულ და ყოველწლიურ დაგეგმვას, ხარისხის უზრუნველყოფას. კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. სკოლაში მიმდინარე დამხმარე პროცესები ხელს უწყობს ძირითადი პროცესების წარმართვას და იდენტიფიცირებულია შემდეგი დამხმარე პროცესები: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლეთა სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისის განხორციელება, ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, კარიერული განვითარება. ინდიკატორი 3.3.1.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლის ყველა თანამშრომლებს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გასაჩივრონ მასწავლებლის, სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. სკოლას შემუშავებული აქვს საჩივრის განხილვის მექანიზმი, რომლის მიხედვითაც საჩივრებს განიხილავს სკოლის დირექტორი, სამეურვეო საბჭო ან სკოლის დისციპლინური კომიტეტი. საჩივრის წარდგენის უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს, რომლის კანონიერ ინტერესზე გავლენას ახდენს სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან სკოლის ადმინისტრაციის/მასწავლებლის სხვა ქმედება. დოკუმენტით განსაზღვრული საჩივრის სახეები, ფორმა და მისი განხილვის პროცედურები. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც გამოიცემა ბრძანების სახით, შეიცავს გასაჩივრების ვადასა და ადგილს. ინდიკატორი 3.3.1.3 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებითა და უზრუნველყოფილია მათი კანონიერი უფლებების დაცვა. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. თანამშრომლები უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას იღებენ ხელშეკრულების პირობების, სკოლის შინაგანაწესის გაცნობით, დირექციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე. პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დისციპლინური კომიტეტი. მოსწავლეთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დირექტორი ან დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და რეკომენდაციებს წარუდგენს სკოლის დირექტორს შესაბამისი რეაგირებისთვის. სკოლაში მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების წესი. ინდიკატორი 3.3.1.4 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დებულება;
- სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმი;
- ხელშეკრულება(მშობელსა და სკოლას შორის);

- მშობელთა კრების ოქმები;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი;სამოქმედო გეგმა
- სკოლის ბავშვთა ომბუცმენის დებულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მიზნით აქტიურად იყენებს როგორც განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ ვებგვერდს, ასევე, თავად სკოლის მიერ შექმნილ პორტალს - <http://www.2school.edu.ge> და სოციალურ ქსელს. აღნიშნულ სივრცეებში სკოლა ინტენსიურად ათავსებს ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. სასკოლო საზოგადოების წევრებს შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება და უკუკავშირი როგორც სოციალურ ქსელში სკოლის ვებგვერდზე, ასევე, დამრიგებლების მიერ შექმნილ სოციალურ ჯგუფებსა და სასაუბროებში. სკოლის შინაგანაწესში, ასევე, განსაზღვრულია სკოლაში მიღების საათები, შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია შეხვდეს სკოლის ადმინისტრაციას/დირექციას და განიხილოს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. სკოლა ქმნის თანამშრომლობით გარემოს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის და სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის წევრობა, უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მათი მონაწილეობის შესაძლებლობას. დამრიგებლების საქმიანობით დასტურდება, რომ ისინი აქტიურად აწყობენ შეხვედრებს მშობლებთან როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე სასწავლო წლის განმავლობაში და აწვდიან

ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი თუ განხორციელებული პროცესების შესახებ. მოსწავლეებთან, მასწავლებლებსა და მშობლებთან ჩატარებული შეხვედრები იძლევა იმის საშუალებას, რომ საჭიროებებიდან გამომდინარე, სკოლა იცნობდეს და სკოლის საჭიროებისამებრ ითვალისწინებდეს მათ ხედვებს, რათა ცვლილებების აუცილებლობის შემთხვევაში შეძლებისდაგვარად ყველას ინტერესი იყოს გათვალისწინებული. ინდიკატორი 3.3.2.1. - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის კოლეგიალური ორგანოები დაკომპლექტებულია კანონმდებლობის შესაბამისად და არის წარმომადგენლობითი. კოლეგიალური ორგანოების ოქმებით დასტურდება მშობლებისა და მოსწავლეების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, პედაგოგიური საბჭო, კათედრები ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს. სკოლის მიერ შემუშავებულია მშობლებთან ურთიერთობის სტრატეგიის დოკუმენტიც. სკოლას აქვს მშობელთა კონფერენციის გამართვის პრაქტიკაც. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით ინტენსიურად ტარდება სხვადასხვა ღონისძიება. ასევე აღსანიშნავია, მშობლები მონაწილეობენ მეორე უცხო ენის არჩევის პროცესში. აღსანიშნავია, რომ სკოლა ჩართულია განათლებისა, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტში „დემოკრატია იწყება სკოლიდან“, რომელიც ითვალისწინებს მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის ზრდას სკოლის მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ინდიკატორი 3.3.2.2 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებგვერდით <http://www.2school.edu.ge>;
- მშობლებთან ურთიერთობის სტრატეგიის დოკუმენტი;

- მშობელთა კრების ოქმები;
- ღონისძიებების ლინკები სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ◦ შესაძლებელია
მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეოსათვალთავლო სისტემით. გაკვეთილების მიმდინარეობისას დერეფნებში მორიგეობენ მასწავლებლები. დამრიგებლები ადგენენ მოსწავლეთა გაცდენის მიზეზს და უნებართვო გაცდენების შემთხვევაში აცნობებენ სამსახურებრივი ბარათის საშუალებით გაცდენების შესახებ დირექციას. სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლას გავლილი აქვს შემოწმება და ზრუნავს მიღებული რეკომენდაციების შესრულებაზე. სკოლაში დამონტაჟებულია საევაკუაციო გზებზე მიმართულების მაჩვენებელი, მანათობელი ნიშნები. სკოლას გააჩნია კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით შედგენილი საევაკუაციო გეგმა, რომელიც გამოკრულია გეგმაზე მითითებულ ადგილებზე და დამრიგებლების მიერ უზრუნველყოფილია მათი გაცნობა თითოეული მოსწავლისთვის. სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას განსაზღვრული ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას აქვს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ინდიკატორი 3.4.1.1 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტით. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი, თუმცა სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, მოთხოვნათა შესაბამისად, საჭიროა, სკოლამ უზრუნველყოს მეორე ექიმის ან ექთნის დამატება. შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლა უზრუნველყოფს მეორე ექიმის დამატებას 2025 წლის 16 სექტემბრამდე. ინდიკატორი 3.4.1.2 - ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებული.
3. სკოლა იცავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებს“. სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანო - მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებსა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზებს. მიღებული ინფორმაციებზე დაყრდნობით შეიმუშავენ რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ და სხვა. ასევე, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგთა მორიგეობის განრიგი. მოსწავლეთა სკოლიდან გაშვება ხდება საშვის საფუძველზე. კარისკაცი, რომელიც მეთვალყურეობას უწევს უცხო პირთა უკონტროლო გადაადგილებას. სკოლა წესრიგის დაცვის პრევენციისათვის, პერიოდულად ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას მოსწავლეებისა და მშობლებისათვის. ინდიკატორი 3.4.1.3 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. სკოლას აქვს პრობლემების იდენტიფიცირების, საჭიროებების დადგენის და მოსწავლისთვის დროული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდების მექანიზმი. კერძოდ, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად, სკოლაში განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ევალება, გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ძალადობის ფაქტის შესწავლა და საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, კანონით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება. სკოლაში გასულ წლებში მუშაობდა სოციალური მუშაკიც, რომელიც დროულად რეაგირებდა მოსწავლეთა საჭიროებებზე. დამრიგებლების მიერ ტარდება სადამრიგებლო საათი, რომლის ფარგლებშიც ასაკის შესაბამისად მუშაობენ ბულინგისა და მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური უნარების განვითარების მიმართულებით. ინდიკატორი 3.4.1.4 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
5. სკოლას აქვს ყველა საჭირო რესურსი სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დასაცავად. მოწესრიგებული და გამართულია სველი წერტილები, ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები, ყოველდღიურად სველი წესით ლაგდება საკლასო ოთახები, დერეფნები. სკოლას ემსახურება 12 დამლაგებელი. ვიზიტის დროს შენობის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლაში არის სუფთა და უსაფრთხო გარემო. მოწესრიგებული და დასუფთავებულია სკოლის ეზო და მიმდებარე ტერიტორიაც. სკოლის ექიმი ზედამხედველობს სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას და აწვდის რეკომენდაციებს სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს. ინდიკატორი 3.4.1.5 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
6. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული წესი არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ძირითად პრინციპებს,

პროცედურებსა და სხვადასხვა პირების უფლებამოვალეობებს. სკოლა მესამე პირების წვდომისაგან იცავს კანონმდებლობით დაცულ პერსონალურ ინფორმაციას, სკოლის მიერ პერსონალური ინფორმაცია მუშავდება, მხოლოდ კანონით დადგენილი წესითა და მოცულობით. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით თანხმობების მოპოვებას ან მონაცემთა დაშიფვრას. სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირი, თუმცა საჭიროა, სკოლამ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად დაასაქმოს მონაცემების დაცვის ოფიცერი. ინდიკატორი 3.4.1.6 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. სკოლამ შეიმუშავა “პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები”, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები: განსაზღვრულია იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომლებსაც სკოლაში ამა თუ იმ ინფორმაციაზე აქვთ წვდომა. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის შენახვის პირობები და ვადები. ინდიკატორი 3.4.1.7 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ ითვალისწინებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. ამ ეტაპზე სკოლა მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებით აწარმოებს მონიტორინგს და საჭიროებისამებრ შეაქვს ცვლილებები თავის საქმიანობაში. ინდიკატორი 3.4.1.8 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება - სახანძრო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები;
- 2024 წლის 11 აპრილის N159 სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი;ეს მაკლია;
- მორიგეობის სია სრული;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა;
- მშობელთა კრების ოქმი;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი;
- ევაკუაციის გეგმა;
- ბრძანება - პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი;
- ბრძანება - თანამშრომელთა და მოსწავლეთა პერსონალური მონაცემე“პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მიზნით განსაზღვრული რიგი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ; ბრძანება სკოლაში ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ◦ შესაძლებელია
მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ინფრასტრუქტურა კაპიტალურად გარემონტებულია. სკოლის მატერიალური რესურსი რაოდენობრივად და ხარისხობრივად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, მოსწავლეთა სკოლის მიერ მოთხოვნილი რაოდენობის შესაბამისად. საკლასო ოთახები, ლაბორატორიული ოთახები და რესურსოთახები აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. ამ ეტაპზე სკოლის ბიბლიოთეკა განთავებულია მცირე ზომის სივრცეში, თუმცა პროცესშია ახალი სივრცის მოწყობა. სკოლა სრულად ადაპტირებულია: ლიფტი, პანდუსი, ადაპტირებული

საპირფარეშო. აქვს რამდენიმე შემოსასვლელი კარი. სკოლაში სულ 36 საკლასო ოთახია. პირველ და მეორე სართულებზე საკლასო ოთახების გარდა არის სამედიცინო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, ლაბორატორია, სამასწავლებლო და მანდატურის ოთახი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი, სასკოლო ბუფეტი, 2 სპორტდარბაზი და სააქტო დარბაზი. საკლასო ოთახები აღჭურვილია პროექტორებით. სკოლის სპორტდარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, კერძოდ, ფრენბურთის ბადე და კალათბურთის ფარები, ტენისისმაგიდა. სკოლის შენობაში საკმარისი რაოდენობის მერხი, სკამი, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, კარადები და დაფებია. ინდიკატორი 3.5.1.1 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის მატერიალური რესურსითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით სარგებლობის წესები, რომელთა მიზანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. სსსმ მოსწავლეები სარგებლობენ რესურსოთახით, საჭირო ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით. გამოყოფილია სასწავლო(სპორტული დარბაზები, სახელოსნო, ლაბორატორიები) სააქტო დარბაზი, და რეკრეაციული ზონები, რომელთა გამოყენება ყველასთვის ხელმისაწვდომია და ხელს უწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა მრავალმხრივ აქტივობას. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს და ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, შესაბამის ტექნიკურ საშუალებებს მასწავლებლები და მოსწავლეები საჭიროების მიხედვით იყენებენ. ინდიკატორი 3.5.1.2 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას ბიბლიოთეკა ამ ეტაპზე მოწყობილი აქვს ერთ-ერთ ოთახში. აჭარის მთავრობის მიერ, დაგეგმილია ბიბლიოთეკის (შენობა მდებარეობს სკოლის ეზოში) კაპიტალური რემონტი, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამკითხველო დარბაზის აშენება. მიუხედავად აღნიშნული ობიექტური გარემოებისა სკოლაში არ შეჩერებულა სასკოლო საზოგადოებისთვის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დროებით გამოყოფილია სივრცე, სადაც ხდება წიგნების გაცემა, მიღება-ჩაბარება და მუშაობს სკოლის ბიბლიოთეკარი. ინდიკატორი 3.5.1.3 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს თითოეულ მოსწავლეს შეუქმნას კომფორტული სასწავლო გარემო და უზრუნველყოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლების მიღების შესაძლებლობა. ამაზე მეტყველებს სკოლის მისიასა და ხედვაში დეკლარირებული მიზნებიც. სკოლას აქვს რესურსოთახი, რომელიც სრულადაა აღჭურვილი სათანადო ინვენტარითა და რესურსით. ინდიკატორი 3.5.1.4 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, კეთილმოწყობილი შიდა ეზო, სახელოსნო, მუსიკალური ოთახი, რომელიც იძლევა საშუალებას სასკოლო საზოგადოების წევრები დაესწონ სხვადასხვა ღონისძიებას და ჩაერთონ სკოლის მიერ ორგანიზებულ პროექტებში. ინდიკატორი 3.5.1.5 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო რესურსით სარგებლობის დებულება;
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

შეფასება: ◦ გთხოვთ,
ასახოთ შეფასება.
◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის
მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს საკმარისი რაოდენობის ტექნოლოგიური რესურსი მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ხარისხიანად წარსამართად. სკოლას აქვს ინტერნეტში ჩართული - 29 კომპიუტერი, ადმინისტრაციაში - 6 კომპიუტერი, მანდატურის ოთახში - 1 კომპიუტერი, რესურსოთახში - 1. სკოლაში არსებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამოყენებით წარმატებით ხორციელდება სწავლა/სწავლების პროცესი. ყველა მასწავლებელს, აქვს ლეპტოპი,

რომელსაც იყენებენ სასწავლო პროცესში. სკოლის შენობა ამ ეტაპზე უზრუნველყოფილი არ არის ვაიფაით, მაგრამ სკოლას აქვს მიმართვის წერილი აღნიშნულის მოსაგვარებლად. ინდიკატორი 3.6.1.1 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის კომპიუტერები და ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის. სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოიყენონ კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა ტექნიკა საგანმანათლებლო მიზნებისთვის და სკოლა უზრუნველყოფს მის თანაბარ ხელმისაწვდომობას, მის მიერვე დადგენილი წესის შესაბამისად - კომპიუტერული ტექნიკის მომხმარებელი უფლებამოსილია შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები; ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მათი გამოყენებით იმუშაოს ლიტერატურაზე; მომხმარებელი უფლებამოსილია ისარგებლოს ელექტრონული ფოსტით, იმუშაოს სასწავლო პროგრამაზე და ა.შ. ინდიკატორი 3.6.1.2 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ბათუმის №2 საჯარო სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების სისტემა და წესი, რომელიც ხორციელდება ელექტრონული სისტემით - Eflow, eschool. საქმისმწარმოებელი სისტემაში არეგისტრირებს შემოსულ და გასულ წერილებს, აქვე ხდება ბრძანებების, წერილების, მოხსენებითი ბარათების აღრიცხვა. საქმისწარმოებაში ჩართულია სკოლის დირექტორიც. მოცემული სისტემა გამოიყენება მასწავლებლებთან, რესურსცენტრთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან საკომუნიკაციოდ. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის კანცელარიის თანამშრომელი. ინდიკატორი 3.6.2.1 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. სკოლა სარგებლობს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის - Eflow - მეშვეობით. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. ინდიკატორი 3.6.2.2 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
3. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ინდიკატორი 3.6.2.3 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
4. სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. კერძოდ, სკოლა აქტიურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მისი დახმარებით ამყარებს

კომუნიკაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შესაბამისი ნებართვების მოპოვებისა თუ გარკვეული საკითხების შესათანხმებლად. საქმისწარმოების წესით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურები, რომელთა დაცვასაც უზრუნველყოფს შესაბამისი პირობებით. შემოსულ კორესპოდენციაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. განათლების სამინისტროსთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან — eflow -ს ელექტრონული სისტემით, ხოლო დანარჩენ ორგანიზაციებთან, როგორც საჯარო, ასევე კერძო სტრუქტურებთან, კომუნიკაცია ხორციელდება სკოლის ელექტრონული ფოსტით Batumi2@mes.gov.ge. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში სხვადასხვა ორგანიზაციასა თუ უწყებასთან წარდგენილი ანგარიშები. ინდიკატორი 3.6.2.4 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების ინსტრუქცია დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით;
- ბრძანება-მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების წესის შესახებ;
- დირექტორის ანგარიში.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს სკოლის ვებგვერდს, სოციალური გვერდსა და დახურულ ჯგუფებს, რომელთა დახმარებითაც სასკოლო საზოგადოების წევრები და დაინტერესებული პირები იღებენ ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. დაინტერესებულ პირს ასევე შესაძლებლობა აქვს, აგრეთვე, კითხვით მიმართოს სკოლას ელექტრონულ ფოსტაზე. სასკოლო სივრცეში თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული საინფორმაციო დაფა, დაფაზე რეგულარულად ხდება სიახლეების განთავსება. სოციალური ქსელის მართვას უზრუნველყოფს ადმინისტრაცია, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნულ სივრცეში სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე. ინდიკატორი 3.6.3.1 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. სკოლის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების, მიღწევების შესახებ არის სანდო. ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით. ასევე, სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. ინდიკატორი 3.6.3.2 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ეფექტურად იყენებს ზემოჩამოთვლილ საკომუნიკაციო არხებს სასკოლო საზოგადოებასა და ზოგადად დაინტერესებულ პირებთან უწყვეტი და სწრაფი კომუნიკაციისათვის. მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებით იგეგმება ხარისხზე ორიენტირებული სასწავლო- სააღმზრდელო პროცესი. სკოლას აქვს მზაობა მაქსიმალურად გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნები, სურვილები და ინიციატივები საქმიანობის პროცესში. პირად თუ სამუშაო შეხვედრებში სკოლის დირექციას მუდმივად მიეწოდება თემისა და მასწავლებლების მოლოდინების, სურვილების შესახებ ინფორმაცია. ინდიკატორი 3.6.3.3 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
4. სკოლას აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებგვერდი. ინდიკატორი 3.6.3.4 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
5. სკოლას საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი აქვს ვებ-გვერდი. მასზე განთავსებულია სტანდარტით მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია. ინდიკატორი 3.6.3.5 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- ელექტრონული ფოსტა;
- დახურული ჩატები.

შეფასება: ◦ გთხოვთ,
ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ
ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას ითავლისწინებს სავარაუდო შემოსავლებს, მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს, წინა წლის გამოცდილებას და საბიუჯეტო კალენდარს. სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება, მცირე ნაწილი კი მიღებულია ეკონომიკური საქმიანობიდან. ბიუჯეტიდან ვაუჩერული დაფინანსების ძირითადი ნაწილი ხმარდება დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას და კომუნალურ ხარჯებს. თუმცა, სკოლას აქვს ფინანსური შესაძლებლობა, რომ შეასრულოს სამოქმედო გეგმით დასახული აქტივობები. საკუთარი ფინანსებით სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა სკოლის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებელია. ინდიკატორი 3.7.1.1 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავენ სკოლის დირექტორი, სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებები შექმნის სამეურვეო საბჭოს. სამეურვეო საბჭოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წარედგინება სკოლის ფინანსური საქმიანობის, გაწეული ხარჯებისა და შედეგების შესახებ ანგარიში, რომლის საფუძველზეც მოწმდება ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერება. სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს სკოლის სამეურვეო საბჭო, რომელიც ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ისმენს დირექტორის ანგარიშს გაწეული საქმიანობის თაობაზე. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების (ბალანსის) წარდგენას შესაბამისი უწყებისთვის. ინდიკატორი 3.7.1.2 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი;
- შესყიდვების გეგმა;
- სკოლის ფინანსური გეგმა;
- ბალანსი-2023 წელი;
- 2023 წლის საკასო შემოსავალი და ხარჯები;
- დირექტორის ანგარიში.

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ◦ შესაძლებელია
მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. სკოლის შინაგანაწესით და სხვა შიდა მარეგულირებელი აქტებით გარანტირებულია ის, რომ მოსწავლეები სკოლაში, თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებით, მატერიალური თუ ადამიანური რესურსის სერვისით. მათთვის შექმნილია უსაფრთხო,

თანამშრომლობითი, ინკლუზიური გარემო. სკოლას ჰყავს კანონმდებლობისა და სკოლის მიერ შემუშავებული არჩევნების წესის შესაბამისად არჩეული თვითმმართველობა. დაცულია მოსწავლეთა მმართველობით პროცესებში მონაწილეობის უფლება შესაბამისი კოლეგიალური ორგანოების წევრობით. ინდიკატორი 4.1.1.1. - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული სკოლაში. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის, სასკოლო რეგულაციების, გაცნობა ხდება საინფორმაციო შეხვედრებზე. სკოლა მოსწავლეებისთვის აწყობს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიებს, სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებლები გეგმავენ და ახორციელებენ უფლებებისა და მოვალეობების შესახებ დისკუსიებს, ნახატების კონკურსებს, ფილმებისა და ვიდეორგოლების განხილვას, როლურ თამაშებს. დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს შინაგანაწესში შესულ ცვლილებებს, მოსწავლეების უფლება- მოვალეობების განხილვა-შეხსენება ხდება მშობელთა კრებებზეც. ინფორმირებისა და საჯაროობის უზრუნველყოფის გარანტს ქმნის სკოლასი მოქმედი ბავშვთა უფლებების დაცვის ომბუცმენის ინსტიტუტიც, რომლის დებულებაშიც ერთ-ერთ ფუნქციად სწორედ სტანდარტის ამ ინდიკატორის შესაბამისი როლია განსაზღვრული. ინდიკატორი 4.1.1.2. - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლებები და მოვალეობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადები, შეწყვეტის პირობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ინდიკატორი 4.1.1.3. - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ბავშვთა ომბუცმენის დებულება;
- კლასსაათის ოქმები;
- ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირისათვის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურების შესახებ ინფორმირებას. სკოლის მოსწავლეების მშობლებს კლასის დამრიგებლების მხრიდან მიეწოდებათ ინფორმაცია მობილობის განხორციელების, სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურების შესახებ ინდივიდუალურ შეხვედრებზე, სატელეფონო კომუნიკაციისას და მშობელთა კრებებზე. დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებს, ასევე, აწვდიან ინფორმაციას გაცდენების შემთხვევაში

მოსალოდნელი შედეგის, კერძოდ, სტატუსის შეჩერების შესახებაც. სკოლას, ინფორმაციის მეტი ხელმისაწვდომობისათვის, შემუშავებული აქვს სკოლაში ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. ინდიკატორი 4.1.2.1. - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, მოსწავლეთა მიღება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების ფრაგლებში. კერძოდ, მოსწავლის პირველ კლასში მიღება ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში სპეციალურ პორტალზე (registrations.emis.ge) რეგისტრაციისა და კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად, მოსწავლეების სარგებლობენ მობილობის უფლებით. სკოლაში სსსმ მოსწავლეების რეგისტრაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო, სსსმ მოსწავლის სტატუსის მინიჭება ხდება მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილების საფუძველზე. მოსწავლის სტატუსის შეჩერება და აღდგენაც ასევე ხორციელდება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოსწავლის სკოლიდან ამორიცხვა ხდება მშობლის განცხადების საფუძველზე ან მობილობის პროცესის განხორციელებისას. ინდიკატორი 4.1.2.2. - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სასწავლო პროგრამები (საგნობრივი კურიკულუმები), სკოლაში მოქმედებს სხვადასხვა წრე და კლუბიც: სამოქალაქო განათლების კლუბი, ეკო-კლუბი, ლიტერატურის კლუბი - „წიგნიერი“, თეატრალური კლუბი, ფიზიკის წრე, სპორტული წრეები. აღნიშნულ კლუბებსა და წრეებში მოსწავლეები გაერთიანებული არიან ინტერესის სფეროს მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. კლასების დამრიგებლები მშობელთა

კრებებზე აწვდიან ინფორმაციას მშობლებს და აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილებს. დამრიგებლების მეშვეობით სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის მშობლებისა და მოსწავლეებისათვის მიწოდებას სკოლაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი პროცესის შესახებ. ინდიკატორი 4.1.2.3- ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. დამრიგებლები მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან სადამრიგებლო კლასების მშობლებთან და აწვდიან სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას, როგორც ინდივიდუალურ შეხვედრებზე, ასევე, მშობელთა კრებებზე. სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ პროგრამებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული, არადისკრიმინაციული და პროაქტიული. სკოლაში განცხადებები პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად გამოიკვრება საინფორმაციო დაფაზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში, სკოლის ვებგვერდზე, ფეისბუქ გვერდზე პერსონალური მონაცემების დაცვით. ინდიკატორი 4.1.2.4. - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება - მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ;
- კლუბისა და წრის დებულებები.

შეფასება: ◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ◦

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შეიმუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლის ადაპტაციისა და ტრანზიციის წესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის (მათ შორის სსსმ მოსწავლეების) სკოლაში ადაპტაციისა და ტრანზიციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილი აქტივობები სკოლაში გადმოსულ ყველა მოსწავლეს უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების,

თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეებს, თანაკლასელებს ახალი მოსწავლე გაჰყავთ სასკოლო სივრცეში, აცნობენ გარემოს, სკოლის წესებს, ტრადიციებს. დამრიგებელი მოსწავლეს აცნობს შინაგანაწესს. ინდიკატორი 4.2.1.1. - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

